EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

დრაონი საფრანგეთის წინააღმდეგ

Draon v. France

საჩივარი №1513/03

გადაწყვეტილება

2005 წელი, 6 ოქტომბერი

ერთ-ერთი გახმაურებული და მნიშვნელოვანი საქმე არასწორ პრენატალურ დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით, არის საქმე, დრაონი საფრანგეთის წინააღმდეგ. კერძოდ, 2003 წლის 2 იანვარს, ევროპული კონვენციის 34-ე მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს მომჩივნებმა: ლიონელ დრაონმა და ქრისტინე დრაონმა. საჩივარი ეხებოდა მომჩივანთა შვილის დაბადებას გარკვეული შეზღუდული უნარებით, რომლის დადგენა ვერ მოხერხდა ორსულობისას, პრენატალური დიაგნოსტიკით, ექიმის გაუფრთხილებლობის გამო. 2004 წლის 19 ოქტომბერს, საქმე განსახილველად გადაეცა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას, რომელმაც მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

გადაწყვეტილება წინამდებარე საქმის სხვა მიმდინარე საქმესთან[1] ერთად განხილვის შესახებ.

1996 წლის გაზაფხულზე, ქალბატონი დრაონის პირველი ორსულობისას, ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა ფეტუსის ანომალია. პაციენტს ჩაუტარდა ამნიოცენტეზის ქირურგიული პროცედურა – სანაყოფე ბუშტის პუნქცია და ამნიოტური წყლის ნიმუში გაიგზავნა ციტოგენეტიკურ ლაბორატორიაში. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფეტუსს არ ჰქონდა დარღვევები, თუმცა მშობიარობიდან მალევე გამოვლინდა, რომ ბავშვს ჰქონდა არაერთი შეზღუდვა, მათ შორის, ფსიქომოტორული განვითარების დარღვევა, აგრეთვე, ქრომოსომური ანომალიის მიზეზით – თანდაყოლილი კარდიოპათია.[2] პროფესორმა, რომელმაც ქალბატონ დრაონს ჩაუტარა ამნიოცენტეზის პროცედურა, დაადასტურა, რომ გამოკვლევის შედეგად დასვა არასწორი დიაგნოზი, ამნიოცენტეზის პროცედურის დროს შესაძლებელი იყო ნებისმიერი ანომალიის აღმოჩენა და გამოხატა სინანული, რომ ფეტუსის მე-11 ქრომოსომებს შორის შეუსაბამობა, ასიმეტრია თვალთახედვის არიდან გამორჩა.

სამედიცინო დასკვნის თანახმად, დრაონის შვილს ჰქონდა ცერებრალური პათოლოგიები, რომლებიც იწვევდა მნიშვნელოვან დარღვევებს და ტოტალურ, სრულ უუნარობას, რასაც თან ახლდა წონის მატება. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვდა მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებს მისი ყოველდღიური მოვლის, ზედამხედველობისა და განათლებისთვის.

თავდაპირველად, მომჩივნებმა მიმართეს ციტოგენეტიკური ლაბორატორიის კლინიკას კომპენსაციის მიღების მოთხოვნით. საპასუხო წერილით კლინიკამ აცნობა მომჩივნებს, რომ ამ საქმეზე დაწესებულება პასუხისმგებლობას არ გაურბოდა, თუმცა, მოუწოდებდა მშობლებს, მიყენებული ზიანის შესაფასებლად მიემართათ პარიზის ადმინისტრაციული სასამართლოსთვის სარჩელით, რომლის განხილვა ჩაინიშნა 2002 წლის 19 მარტს, თუმცა მანამდე, 7 მარტს ძალაში შევიდა „მშობელთა უფლებებისა და ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის შესახებ“[3] №2002-303 კანონი, რომლის პირველი ნაწილიც ვრცელდებოდა მოცემულ საქმეზე, როგორც მიმდინარე საქმისწარმოებაზე. აღნიშნულმა კანონმა შეცვალა კომპენსაციის განსაზღვრისა და დაკისრების მანამდე

[1] მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. Fance), 2005 წლის 6 ოქტომბერი
[2] გულის კუნთის არაანთებითი დაავადება.
[3] Law no. 2002-303 of 4 March 2002 on patients' rights and the quality of the health service

მოქმედი წესი, რომელიც ფრანგული სასამართლოების პრეცედენტული გადაწყვეტილებებით იყო დადგენილი.[4] ახალი რეგულაციის მიხედვით, იმ ბავშვის მშობლებს, რომელიც დაიბადა გარკვეული შეზღუდული უნარებით და რომლის გამოვლენაც ორსულობის განმავლობაში ვერ მოხერხდა სამედიცინო პერსონალის უხეში გაუფრთხილებლობის გამო, შეეძლოთ, მოეთხოვათ კომპენსაცია მხოლოდ პირადად მათთვის მიყენებული ზიანისთვის, რომელიც აღარ მოიცავდა ზიანს იმ ხარჯების გათვალისწინებით, რაც უნარშეზღუდული ბავშვის გაზრდისა და აღზრდისთვის იქნებოდა გასაწევი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.[5] აღნიშნულისთვის ფრანგული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ეროვნული სოლიდარობის სისტემიდან კომპენსაციის გაცემას, რაც მომჩივნების აზრით, არაადეკვატური, ბუნდოვანი და დაუზუსტებელი იყო. ახალი რეგულაციის პირობებში დრაონების მიერ მისაღები კომპენსაციის ოდენობა მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

მომჩივნებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მიუთითეს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკამ ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6, მე-8, მე-13, მე-14 მუხლებითა და მისი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით (საკუთრების უფლება) მათთვის გარანტირებული უფლებები და ამდენად, ჩამოართვა სრული კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა, რომელიც მათი უნარშეზღუდული ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იყო აუცილებელი.

სამართალი

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სხვა მუხლებთან ერთად, მომჩივნები დავობდნენ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მათი უფლებების დარღვევის თაობაზე

[4] 1997 წლის 14 თებერვლის Conseil d'Etat-ს გადაწყვეტილება (Quarez case).

[5] No. 2002-303 კანონის 1-ლი სექციის 1-ლი პუნქტის მე-2 ქვეპუნტქი: „Where the liability of a healthcare professional or establishment is established vis-a-vis the parents of a child born with a disability not detected during the pregnancy by reason of gross negligence (faute caracterisee), the parents may claim compensation in respect of their damage only. That damage cannot include the special burdens arising from the disability throughout the life of the child. Compensation for the latter is a matter for national solidarity."

110. პირველი საკითხი, რომელიც განხილული უნდა იყოს, არის ის, რომ გამოიყენება თუ არა კონვენციის მე-8 მუხლი მოცემულ საქმეში, ანუ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ შშმ პირებთან დაკავშირებით გატარებულ ზომებს ჰქონდათ თუ არა რაიმე გავლენა მომჩივანთა უფლებაზე, ჰქონოდათ ნორმალური ოჯახური ცხოვრება.

111. ამასთან, წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ამ საკითხის განხილვას, ვინაიდან (თუნდაც იმ ვარაუდით, რომ შეიძლება კონვენციის მე-8 მუხლი ყოფილიყო გამოყენებადი), იგი მიიჩნევს, რომ მომჩივნების მიერ სადავო სიტუაცია არ წარმოადგენს ამ დებულების დარღვევას.

112. სტრასბურგის სასამართლო უთითებს 2002 წლის 4 მარტის კანონის 1-ელ ნაწილზე, რომელმაც შეცვალა არსებული სამართლებრივი პოზიცია სამედიცინო პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებით. *Perruche*-ს გადაწყვეტილების და ქვეყნის მასშტაბით დაპირისპირებული დებატების საპასუხოდ, რომელიც ასახავდა აზრთა სხვადასხვაობას საფრანგეთის საზოგადოებაში, საფრანგეთის პარლამენტმა, დაინტერესებულ სხვადასხვა პირებთან და დაინტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტა ჩართულიყო შეზღუდული შესაძლებლობებით დაბადებული ბავშვებისათვის და მშობლებისათვის განცდილი ზიანის ანაზღაურების ახალი სისტემის შექმნაში, რომელიც განსხვავდება ადმინისტრაციული და სამოქალაქო სასამართლოების პრეცედენტული სამართლისგან. ახალი წესების ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რომელიც Conseil d'Etat-მა საკუთარ, 2002 წლის 6 დეკემბრის დასკვნაში განმარტა, არის ის, რომ მშობლებს აღარ შეუძლიათ კომპენსაცია მიიღონ დაუდევარი მხარისგან ზიანისთვის, განსაკუთრებული ტვირთის სახით, რომელიც მათ მიადგათ შვილების მთელი ცხოვრების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობებით. ეს წესები იყო პარლამენტში ყოვლისმომცველი დებატების შედეგი, რომლის დროსაც გაითვალისწინეს იურიდიული, ეთიკური და სოციალური მოსაზრებები და საკითხები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების სწორ ორგანიზაციას და თანაბარი მოპყრობის აუცილებლობას. როგორც *Conseil d'Etat* -მა ზემოთ ნახსენებ მოსაზრებაში აღნიშნა, პარლამენტმა საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნა ზოგადი ინტერესის საფუძვლებს და ამ საფუძვლების სისწორე სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს. ამით იგი ასრულებდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მინიმუმ, ერთ ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვას.

113. განსახილველმა დებულებებმა კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევით ჩამოართვა მომჩივნებს კომპენსაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის მოთხოვნაც მათ შეეძლოთ, ხოლო სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დაეთანხმოს ამ დასკვნას.

114. თუმცა, საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოს აზრით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მზრუნველობისათვის გამოყოფილი ხარჯების საკითხების მოგვარება უმჯობესი იქნებოდა შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებით და არა იმ გზით, რომ სასამართლოებისთვის დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა გამოეტანათ განჩინებები ადმინისტრაციული სარჩელების საფუძველზე. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ წინა სამართლებრივი დისპენსაცია, რომელიც 1975 წელს იქნა მიღებული, სრულიად შეიცვალა 2005 წლის 11 თებერვლის კანონით. ევროპული სასამართლო ვერ დაიკავებს ეროვნული ხელისუფლების ადგილს სისტემის მიზანშეწონილობის შეფასების ან ამ რთულ სოციალურ სფეროში საუკეთესო პოლიტიკის განსაზღვრისას. ეს ის სფეროა, სადაც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებს გააჩნიათ ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები (იხ.: *mutatis mutandis*, *Powell and Rayner v. the United Kingdom*, ციტირებული ზემოთ, § 44).

115. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოსთვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი განაცხადოს, რომ საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ პრობლემის მოგვარება ან ამ მიზნით მიღებული კონკრეტული ზომების შინაარსი ეწინააღმდეგება მე-8 მუხლს (როგორც მისი პოზიტიური, ისე უარყოფითი ასპექტის გათვალისწინებით). არ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის პარლამენტმა, შშმ პირთა კომპენსაციის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, გადალახა ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები ან დაარღვია სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა შენარჩუნდეს.

116. აქედან გამომდინარე, სახეზე არ არის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.